

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



10722561753911

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
**სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის
დამონშება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110662551



რეგისტრაციის თარიღი

28.06.2011 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე

მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზირი #17

ტელეფონი: 376870

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამონშება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ“-ის

აქციონერთა საერთო კრების ოქმი

2011 წლის 28 ივნისი

ნოტარიუსი ირმა შარვაძე

თბილისი

2011

ორიათას თერთმეტი წლის ოცდარვა იენისს შე, ირმა შარვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ყაზბეგის გამზ. №17, დავესწარი სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდა მისამართზე: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №8. მე შევადგინე წინამდებარე ოქმი კრების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. წინამდებარე ოქმი სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ელექტრონულ რეესტრში გავატარე ორიათას თერთმეტი წლის ოცდარვა იენისს და გავიცი ამავე დღეს.

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციონერთა საერთო კრების ოქმი

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ“-ის („საზოგადოება“) აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა ორიათას თერთმეტი წლის ოცდარვა იენისს ქალაქ თბილისში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №8.

კრება დაიწყო 17.00 საათზე და დასრულდა 18.00 საათზე.

კრების თავმჯდომარე:

ბატონი ირაკლი ბურდილაძე (დაბადებული 05.08.1974წ გაგრაში, პირადობის მოწმობის №დ 0167540, პირადი №01025006212 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 15.06.2007წ. მცხოვრები თბილისში, პეტრიწის ქ. №7, ბინა 54) სააქციო საზოგადოება „ლიბერთი კონსუმერ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ირაკლი ბურდილაძემ განაცხადა, რომ კრებას ესწრებოდა 5 (ხუთი) აქციონერი (აქციონერის წარმომადგენელი), რომლებიც ჯამურად ფლობდნენ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის არსებულ ხმის უფლების მქონე აქციათა 84,4285844 %-ს განთავსებული და ხმის უფლების მქონე 60284731 (სამოცი მილიონ ორასოთხმოცდაათი ათას შვიდასოცდათერთმეტი) აქციიდან, ანუ 50897545 (ორმოცდაათი მილიონ რვაასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასორმოცდახუთ) ხმას.

ირაკლი ბურდილაძემ განაცხადა, რომ ქვორუმი შედგა და კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. კრების მოწვევის შესახებ გამოცხადებული იყო „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დაგზავნილი იყო წერილობითი შეტყობინებებიც.

დღის წესრიგში უმტანილია ოთხი საკითხი:

1. საზოგადოების 2010 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში საზოგადოების 2010 წლის საქმიანობის შესახებ;
3. ბ-ნ აუთანდილ ნამიჩიშვილის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ;
4. ბ-ნ მურთაზ კიკორიას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ.

კრების თავმჯდომარემ აქციონერებს გააცნო დღის წესრიგი.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით კანონით დადგენილი წესით არ გამოთქმულა შენიშვნები, კრება მუშაობას შეუდგა გამოცხადებული დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგის პირველი საკითხი - საზოგადოების 2010 წლის აუდიტორული შედეგების დამტკიცების შესახებ

კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აუდიტორული კომპანია "Ernst & Young Audit LLC"-ს აუდიტორული დასკვნა და საზოგადოების 2010 წლის წლიური ფინანსური ანგარიში აქციონერებს დაურიგდათ ინგლისურ ენაზე. თავმჯდომარემ მიმოიხილა 2010 წლის ფინანსური ანგარიში და მოუწოდა დამსწრე აქციონერებს დაემტკიცებინათ აუდიტორული ფინანსური შედეგები.

გადაწყვეტილება ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის 2010 წლის აუდიტორული შედეგების დამტკიცების შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად – 50897545 (ორმოცდაათი მილიონ რვაასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასორმოცდახუთ) ხმით.

დღის წესრიგის მეორე საკითხი - დირექტორის ანგარიში საზოგადოების 2010 წლის საქმიანობის შესახებ;

საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ვახტანგიშვილმა აქციონერთა კრებას გააცნო 2010 წლის განმავლობაში ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის საქმიანობის შედეგები. გენერალურმა დირექტორმა ასევე უპასუხა აქციონერთა შეკითხვებს.

ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის 2010 წლის საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშს მხარი დაუჭირეს აქციონერებმა საერთო ჯამში 50872750 ხმით, რაც შეადგენს დამსწრე ხმების — 99,95128 %-ს.

თავი შეიკავეს - 24795 ხმის მფლობელმა აქციონერებმა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა აქციონერთა კრების მიერ.

დღის წესრიგის მესამე საკითხი - ბ-ნ ავთანდილ ნამიჩიშვილის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ;

კრების თავმჯდომარემ აქციონერებს მოახსენა, რომ ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის სამეთვალყურეო საბჭოდან გადადგა წევრი ბ-ნ ავთანდილ ნამიჩიშვილი, რის თაობაზეც მან აუწყა სამეთვალყურეო საბჭოს.

ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ბ-ნ ავთანდილ ნამიჩიშვილის სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის თაობაზედ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - ბ-ნ მურთაზ კიკორიას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ;

ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელებულ იქნა ბატონი მურთაზ კიკორია (დაბადებული 09.02.1973 წელს ქვალში; მისამართი: ქვალის, სოფელი შხიური. მცხოვრები: თბილისი, ზაურ ბოლქვაძის ქუჩა №3, ბინა №9; პირადობის მოწმობის №გ0452102, პირადი №62006000425 გაცემული სრს გალის სამსახურის მიერ 2007 წლის 17 სექტემბერს).

აქციონერებს მიეწოდათ ინფორმაცია ბატონი მურთაზ კიკორიას გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მხარი დაეჭირათ წარმოდგენილი კანდიდატურისათვის.

აქციონერთა კრებამ კენჭი უყარა ბატონი მურთაზ კიკორიას სამეთვალყურეო საბჭოში არჩევას.

გადაწყვეტილება ბ-ნ მურთაზ კიკორიას სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად - 50897545 ხმით.

საერთო კრების დასრულებისას, კრების თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა აქციონერებს კრებაში მონაწილეობისათვის და ს.ს „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციონერთა საერთო კრება გამოაცხადა დასრულებულად.

კრების თავმჯდომარე



ირაკლი ბურდილაძე

გადახდილია ნოტარიუსი საზღაური: 150.00 ლარი თანახმად, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. 1417 II ს) მე-20 მუხლისა. დღგ: 27.00 ლარი თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. აგრეთვე 2.00 ლარი რეგისტრაციის (თანახმად, 31^ე მუხლისა).
სულ გადახდილია 179.00 ლარი

ნოტარიუსი



